განკარგულება:**გ-17. 17230559**
თარიღი:**24/02/2023**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარის **ელიზავეტა კუჭუხიძის** ანგარიში - 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #62)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი:**17-17230536**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი:

დავით ზაალიშვილი
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 37 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის და ბორჯომის მუნიციპალიეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად წარმოგიდგენთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

განვლილ პერიოდში კომისიის საქმიანობა მიმართული იყო საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის განხორციელებისკენ.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 12 წევრით.

უფლებამოსილების ფარგლებში კომისიამ საანგარიშო პერიოდში გაწია შესაბამისი სამუშაოები. ამ პერიოდში ჩატარდა 17 სხდომა, სადაც გატანილი და განხილული იქნა 43 საკითხი: განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ისეთი საკითხები რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვას და სხვა საკითხებს.

შესაბამისად მოგახსენებთ, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 7 საკითხი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, საიდანაც მინდა გამოვყო შემდეგი საკითხები:

ü ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბორჯომში, „ახალი უბანი“ მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1257 კვმ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, რომლის შემდეგაც სახელმწიფოს მიერ მოხდა მიწის ნაკვეთების სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის გადაცემა, რომელიც განახორციელებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და 150 დევნილი ოჯახისთვის გადაცემას.

ü მესხეთის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N64.23.01.042) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, რომლის შედეგად ენერგო პრო ჯორჯიას მიერ განხორციელდა მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების (ცემი-1; ცემი-2; ცემი-3) რეკონსტრუქციის პროექტის ცვლილება და ელექტროგადამცემი ხაზები აღარ კვეთს კერძო საკუთრებაში არსწებულ მიწის ნაკვეთებს.

ü დაბა ბაკურიანში მდებარე მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, რომლის შემდგომაც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ განახორციელა დაბა ბაკურიანში წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის წყალმომარაგების სისტემის ოპტიმიზაციის გადაუდებელი სამუშაოების პროექტის“

შესაბამისად პროექტით გათვალისწინებული წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.

ü „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ – ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტების მასშტაბით არსებული ამბულატორიების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

გარდა ზემოთაღნიშნულისა კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 7 საკითხი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი წერილების თანახმად აღნიშნული ქონების საიჯარო თანხა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ü დაბა ახალდაბაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის საწყისი წლიური საიჯარო საფასური განსაზღვრული იქნა 2040 ლარით

ü დაბა წაღვერში, ,,ბორჯომი - ბაკურიანის გზტ.“-ის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი წლიური საიჯარო საფასური განსაზღვრული იქნა 1615 ლარით

ü ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი წლიური საიჯარო საფასური განსაზღვრულია 360 ლარით

ü ქ. ბორჯომი, ხაშური-ბორჯომის საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული ქონების საწყისი წლიური საიჯარო საფასური განსაზღვრულია 3600 ლარით

ü ქ. ბოჯომი, 9 აპრილის სკვერში მდებარე 9 ერთეული მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურის საწყისი წლიური საიჯარო საფასური თითოეული ჯიხურისთვის განსაზღვრულია 1000 ლარის ოდენობით.

ü ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ არსებული ქონების საწყისი წლიური საიჯარო საფასური განსაზღვრულია 2400 ლარით

ü ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი სადგერში და სოფელი ტბაში მაგთიკომის ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისთვის გარე განათების ბოძების საფასური (თითოეული ბოძის) განსაზღვრულია 2 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საიჯარო თანხის გადახდა განხორციელდება აუქციონის შედეგების და საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

კომისიის სხდოაზე ასევე განხილილი იქნა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილების 6 პროექტი, 2022 წლის 29 დეკემბრის N102 დაგენილების თანახმად კი მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 33686400 (ოცდაცამეტი მილიონ ექვსას ოთხმოცდაექვსი ათას ოთხასი) ლარით, საიდანაც 26 585 300 ლარი არის საკუთარი შემოსავლები, ხოლო 7 100 100 ლარი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსფერი.

კომისიის სხდომაზე ასევე მოსმენილი იქნა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ასევე 2022 წელს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოსმენა განხორციელდება 2023 წლის 1 აპრილამდე.

კომისიის წევრებმა ასევე მოისმინეს 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდბვების შესახებ ანგარიში, რომელიც წარმოდგენილი იქნა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

ასევე მინდა ავღნიშნო, რომ კომისიის მიერ 2022 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომრციული) იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენა 2021 – 2022 წელს გაწეული მუშაობს შესახებ, რომელიც გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე, რაზეც გაფორმებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტი - განკარგულება.

კომისია აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში კერძოდ; კომისიის მიერ შესწავლილი და მოწონებული იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 16 საპროექტო წინადადება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N63 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ჯამში 872000 (რვაას სამოცდათორმეტი ათასი) ლარი გადანაწილდა მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე 33 დასახლებაზე (დაბა სოფელი), აღნიშნული თანხით განხორციელდა ის ინფრასტრუქტრუული პროექტები რომელზეც მოთხოვნა იყო ადგილობირივ მოსახლეობის მიერ.

შესაბამისად ჯამში 2022 წელს ბორჯომის მუნიციპალტიეტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისთვის, მოვლა-პატრონობისთვის და მშენებლობისთვის გათვალისიწნბული იქნა 20 510 200 ლარი (პროგრამული კოდი 02 00). აღნიშნული თანხით განხორციელდა როგორც საგზაო ინფრასტრუქტურუის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, ასევე ქალაქში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეკონსტრუქცია რებილიტაცია, სკვერების და პარკების განახლება და რეკონსტრუქცია, კერძოდ კოსტავას სახელობის პარკისა და მოედანის რეაბილიტაცია და თანამედროვე საბავშო ცივრცეების და სათამაშო მოედნების მოწყობა.

საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის მიერ ნოემბერ-დეკემბრში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მერიის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის ბიუეჯტის პროექტზე, შესაბამისად კომისიის მიერ განხილული იქნა 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრურქურული პროექტები, ასევე მოწონებული იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 8 საპროექტო წინადადება, რომლის ღირებულება ჯამში შეადგენს 3 920 703 ლარს.

ასევე კომისია აქტიურად იყო ჩართული სოციალური, კულტურული, და სხვა პროექტების განხილვაში და ბიუჯეტის შემუშავებაში, რომელიც უნდა განხორიციელდეს 2023 წელს.

ასევე მინდა ავღნიშნო, რომ კომისიის სხდომებში აქტიურად იყვნენ ჩართული მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულები და არასამეწარმეო (არაკომერციული) ურიდიული პირების ხელმძღვანელები.

ელიზავეტა კუჭუხიძე

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე